

**მედიუმი გავრცობა  
საკითხების გავრცელების  
სამართლებრივი და მართვნილი  
სტანდარტები**



თბილისი  
2011



სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, გაეროს ბავშვთა ფონდის აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით, გამოსცემს წინამდებარე კრებულს, რომელშიც თავმოყრილია მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები. კრებულში მოცემული ნებისმიერი დებულება მედიის წიაღიდანვე აღმოცენებული სავალდებულო ქცევის წესია. ამ წესების თავმოყრა და გამოსცემა აუცილებლად მივიჩნით, რათა თავიდან ავიცილოთ ბავშვის უფლებების დარღვევა მისი ამბის გაშუქებისას, რაც შეუძლებელია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სტანდარტის ცოდნისა და გამოყენების გარეშე.

იურიდიული ფორმალობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, განვმარტოთ, რამდენად სავალდებულოა ერთიანი სტანდარტის შემადგენელი სხვადასხვა წესის დაცვა საკანონმდებლო დონეზე.

კრებული იწყება საერთაშორისო სტანდარტის მომცველი დოკუმენტებით, რომლებიც საფუძვლად უდევს ქართულ კანონმდებლობას. შემდეგ მოდის საქართველოს კანონები, რომლებიც ყველასათვის სავალდებულო ქცევის წესებია. მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოქმედებას იწყებს სახელმწიფო მექანიზმები, რაც კანონითვე დადგენილი პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებაში ვლინდება. თუმცა, დამატებით უნდა აღვნიშნოთ, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონსა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსს“ თავისი სამიზნე ჯგუფი ჰყავს. ესენი მაუწყებლები არიან (ლიცენზიის მფლობელები). შესაბამისად, ამ აქტებით დადგენილი

ვალდებულებები ვრცელდება მაუწყებლებზე (ტელე-ვიზია, რადიო და მათი კუთვნილი ვებ-გვერდები), რაც შეეხება სხვა საკანონმდებლო აქტებს, მათი მოქმედება ვრცელდება ნებისმიერი სახის მედიასაშუალებებზე.

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ არის მედიის თვითრეგულირების სისტემის ნაწილი, რომელიც ჟურნალისტების მიერ შემუშავებულ ქცევის წესებს ჟურნალისტებს შორის ნებაყოფლობით ამკვიდრებს. ქარტიის ხელმომწერები დებენ ხელშეკრულებას საზოგადოებასთან — გარკვეული პრინციპების დაცვის თაობაზე, რომელთა შორისაც ბავშვის საკითხების გაშუქებას გამორჩეული ადგილი ეთმობა.

კრებული სრულდება გასაჩივრების სისტემებითა და პროცედურებით, რომლებიც სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში ამოქმედდება.

წინამდებარე ბროშურა პრაქტიკულად გამოყენებადი და სასარგებლოა ეთიკური, პასუხისმგებლობიანი მედიის წარმომადგენლებისათვის, რადგან მასში მოცემული სტანდარტების დაცვა ან დარღვევა არის თითოეული ჟურნალისტის განაცხადი საკუთარ სიტყვასა და სახეზე საზოგადოების წინაშე.

## საერთაშორისო სტანდარტი

საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ადგენს ბავშვთა უფლებების დაცვის ზოგად ჩარჩოს, არის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“. წინამდებარე კრებულში მოყვანილია ის დებულებები, რომლებიც ეხება ბავშვის გამოხატვის თავისუფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და მედიის მიერ ბავშვთა უფლებების გაშუქებას. ეს ის მინიმალური სტანდარტია, რომელიც სავალდებულოდ უნდა იქნას გათვალისწინებული პასუხისმგებელი მედიის მიერ ბავშვთა საკითხების გაშუქებისას.

## ბავშვის უფლებათა კონვენცია

### მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.

2. ამ მიზნით, ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა, მოუსმინონ მას სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ბავშვს ეხება როგორც უშუალოდ, ასევე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის პროცესულური ნორმებით გათვალისწინებული წესით.

### მუხლი 13

1. ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას — საზღვრების არსებობის მიუხედავად, მოიძიოს, მიიღოს, ან გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან იდეა ზეპირი, წერილობითი თუ ბეჭდური ფორმით, ბავშვის არჩევანისამებრ.

2. ამ უფლების განხორციელება, შესაძლოა, ერთგვარად შეიზღუდოს, მაგრამ ეს შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი უნდა იყოს:

- ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის;
- ბ) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის.

### მუხლი 16

1. არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი.

2. ბავშვს უფლება აქვს, კანონით იყოს დაცული მსგავსი ჩარევისგან ან ხელყოფისაგან.

### მუხლი 17

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ ბავშვისათვის სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროთი გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების მისაწვდომობას, განსაკუთრებით, ისეთი ინფორმაციისა და მასალებისა, რომლებიც მიმართულია ბავშვის სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობისაკენ, აგრეთვე, ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ხელშეწყობისაკენ. ამ მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები –

- ა) ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იმ ინფორმაციისა და მასალების გავრცელების ნახალისებას, რომლებიც სასარგებლოა ბავშვის სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით და გამოხატავს 29-ე მუხლის სულისკვეთებას;
- ბ) ახდენენ საერთაშორისო თანამშრომლობის ნახალისებას სხვადასხვა კულტურული, ეროვნული და საერთაშორისო წყაროდან მოპოვებული ამგვარი ინფორმაციისა და მასალების მომზადების, გაცვლისა და გავრცელების მიზნით;
- გ) ახდენენ საბავშვო ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების ნახალისებას;
- დ) ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ნახალისებას, რათა მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ბავშვის ენობრივ მოთხოვნილებებს, რომელიც მიეკუთვნება რომელიმე უმცირესობის ჯგუფს ან მკვიდრ მოსახლეობას;
- ე) ახდენენ იმ სახის ინფორმაციისა და მასალებისაგან ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების შემუშავების ნახალისებას, რომლებიც საზიანოა მისი კეთილდღეობისათვის, მე-13 და მე-18 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

### მუხლი 36

მონაწილე სახელმწიფოები ბავშვს იცავენ ექსპლუატაციის ყველა სხვა ფორმისაგან, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის კეთილდღეობის ნებისმიერ ასპექტს.\*

- \* ბავშვის უფლებათა კონვენციის კომენტარის შესაბამისად, „ექსპლუატაციის სხვა ფორმებში“ ასევე იგულისხმება ბავშვის ექსპლუატაცია მედიასა-შუალებების მიერ, ასე მაგალიათად, არასრულწლოვანი მსხვერპლის ან დამნაშავეს იდენტიფიცირების გზით, ან ინფორმირებული თანხმობის გარეშე ბავშვის ქმედების იმგვარი წარმოჩენის გზით, რაც შესაძლოა ბავშვის განვითარებისთვის ზიანის მომტანი იყოს.

## **პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით**

პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი საკითხია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვს ეხება. ეს პრინციპი საგანგებოდ გასათვალისწინებელია მედიის მიერ ბავშვის საკითხების გაშუქებისას, განმტკიცებულია როგორც ბავშვის უფლებათა კონვენციით, ასევე სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტებით.

კონვენციის მე-16 მუხლის მიხედვით: „არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი...”

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის VII ქვეპუნქტის თანახმად, „ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალი ედება მის დარღვევაში, უნდა ჰქონდეს გარანტია მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემისა საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე”.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტების მიხედვით, „*საქმის მიმდინარეობის ნებისმიერი ეტაპი*” გულისხმობს ყოველ ეტაპს სამართალდამცავებთან პირველი კონტაქტიდან მოყოლებული (მაგ.: ინფორმაციის მოთხოვნა და იდენტიფიკაცია), საქმის საბოლოო დასრულებამდე — კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადანყვეტილების გამოტანამდე, ან ზედამხედველობის ქვეშ გამოშვებამდე, ან დაპატიმრებამდე და თავისუფლების აღკვეთამდე. მისი მიზანია, თავიდან ავიცილოთ არამიზანშენილი საჯაროობით ან სტიგმატიზაციის პროცესით



გამონვეული ზიანი. დაუშვებელია, გამოქვეყნდეს ნებისმიერი ინფორმაცია, რითიც შესაძლოა ბავშვის ამოცნობა მოხდეს, რადგანაც ეს სტიგმატიზაციას იწვევს და ზიანი ადგება მის უფლებას, მიიღოს განათლება, სამუშაო, ჰქონდეს სახლი ან შესაძლოა დაემუქროს მის უსაფრთხოებას. საჯარო ორგანოებს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აქვთ უფლება, გამოუშვან პრეს-რელიზი, რომელიც შეეხება მოზარდის მიერ ჩადენილ დანაშაულს. მათ უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა ამ პრეს-რელიზის შედეგად არ მოხდეს ბავშვის ამოცნობა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ასევე ნიშნავს იმას, რომ არასრულწლოვნის საქმის მასალები მკაცრად კონფიდენციალური და ხელმიუწვდომელი უნდა იყოს მესამე პირებისათვის, იმ პირების გარდა, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ გამოძიებაში, განაჩენის გამოტანასა და მის აღსრულებაში.

კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს ყველა მონაწილე სახელმწიფოს, შემოიღონ წესი, რომლის მიხედვითაც, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის სასამართლო განხილვა უნდა წარმოებდეს დახურულ კარს მიღმა. ამ წესიდან გამონაკლისები უნდა იყოს კანონით ნათლად განსაზღვრული და მხოლოდ ლიმიტირებულ შემთხვევებში. გამონაკლის შემთხვევებში, განაჩენის საჯაროდ წაკითხვისას არ უნდა დასახელდეს ბავშვის სახელი და გვარი. ბავშვის უფლება პირად ცხოვრებაზე (მუხლი 16) სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის პროცესში ჩართულ ყველა სპეციალისტს ავალდებულებს იმ ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვას, რომელმაც შესაძლებელია გაამჟღავნოს ბავშვის ვინაობა. უფრო მეტიც, უფლება პირად ცხოვრებაზე ასევე გულისხმობს, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში ჩართულ ბავშვებთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერი და საბუთი უნდა იყოს მკაცრად კონფიდენციალური და დახურული მესამე მხარისთვის. გამონაკლისს წარმოადგენს ის მესამე მხარე,

რომელიც მონაწილეობს გამოძიების, საქმის დახურვისა და სხვა პროცესებში. სტიგმატიზაციისა და უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნის თავიდან აცილების მიზნით, არასრულწლოვნის საქმის დეტალები არ უნდა იქნას შეტანილი მოზრდილების საქმეების განხილვისას, რომლებშიც იგივე პირია ბრალდებული (იხილეთ პეკინური წესები 21.1 და 21.2)<sup>1</sup>

კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევს, შემოიღონ წესები, რომელთა მიხედვითაც მოხდება იმ ბავშვის სახელისა და გვარის ამოღება ჩანაწერებიდან, რომელმაც დანაშაული 18 წლამდე ასაკში ჩაიდინა; ან სერიოზული დანაშაულის იმ მცირერიცხოვან შემთხვევებში, როდესაც ბავშვის სახელისა და გვარის ამოღება შესაძლებელია ბავშვის მოთხოვნისამებრ, თუ საჭირო გახდა კონკრეტული პირობების დაკმაყოფილებისას (მაგალითად, თუ ბავშვს დანაშაულის ჩადენიდან 2 წლის ვადაში განმეორებით არ ჩაუდენია დანაშაული)<sup>2</sup>.

პირადი ცხოვრების დაცვის მოთხოვნას შეიცავს გაეროს 1988 წლის „მინიმალური სტანდარტული წესები“, რომლებიც ეხება მართლმსაჯულების აღსრულებას არასრულწლოვანთა მიმართ, ე.წ. „პეკინის წესები“ (შემდგომში „პეკინის წესები“), რომლის მე-8 წესის მიხედვით:

„8.1 ყველა ეტაპზე დაცული უნდა იქნას არასრულწლოვნის უფლება პირად ცხოვრებაზე, რათა თავიდან იქნას აცილებული არასათანადო საჯაროობით ან რეპუტაციის შელახვით გამოწვეული ზიანი.

8.2 ზოგადად არ უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დადგენას.”

---

1 ბავშვის უფლებათა კომიტეტი - ზოგადი კომენტარი №10: ბავშვის უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში (2007) პარაგრაფი 66

2 ბავშვის უფლებათა კომიტეტი — ზოგადი კომენტარი №10: ბავშვის უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში (2007) პარაგრაფი 67

მე-8 მუხლის კომენტარში აღნიშნულია, რომ ახალგაზრდა ადამიანები განსაკუთრებით ექვემდებარებიან სტიგმატიზაციას. რეპუტაციის შელახვის შესახებ კრიმინოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ არასრულწლოვნის მუდმივ იდენტიფიკაციას სამართალდამრღვევებად და დამნაშავეებად მოსდევს სხვადასხვა ხასიათის უარყოფითი შედეგი. სწორედ ამიტომ, მე-8 წესი ხაზგასმით აღნიშნავს არასრულწლოვნის დაცვის აუცილებლობას საქმესთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ინფორმაციის (მაგ. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, მსჯავრდებულის სახელები) გამოქვეყნების შედეგებისაგან.

ამავე დოკუმენტის 21-ე წესის მიხედვით:

„21.1 არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა დოსიე უნდა ინახებოდეს სრულიად საიდუმლოდ და დახურული უნდა იყოს მესამე მხარისათვის. მასალების ხელმისაწვდომობა უნდა შემოიფარგლოს იმ პირებით, რომელთაც პირდაპირ ეხებათ საქმეზე გაგანყვეტილების მიღება ან სხვა სათანადოდ უფლებამოსილი პირებით.

21.2 არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების შესახებ არსებული მასალები არ გამოიყენება სრულწლოვანთა საქმეების, ან თავად ამ სამართალდამრღვევებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას.”

ე.წ „პეკინის წესები“ თავისუფლებაალკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის დამატებითი ღონისძიებებით უზრუნველყოფის მიზნით ადგენს, რომ „ანგარიშები სამართლებრივი და სამედიცინო ჩანაწერებისა და დისციპლინური სამართალწარმოების ჩანაწერების ჩათვლით, ასევე მოპყრობის ფორმის, შინაარსისა და დეტალების შესახებ დოკუმენტები მოთავსებული უნდა იქნას კონფიდენციურ ინდივიდუალურ ფაილად, რომელიც იქნება მუდმივად განახლებული და ხელმისაწვდომი მხოლოდ ამაზე უფლებამოსილი პირებისათვის, კლასიფიცირებული იმგვარ-

რად, რომ იოლად იქნას აღქმული.... არასრულწლოვანთა გათავისუფლების შემდეგ ჩანანერები უნდა დაილუქოს და გარკვეული დროის შემდეგ უნდა განადგურდეს”<sup>3</sup>.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ  
საერთაშორისო პაქტი (მუხლი 14)

„ ... შეიძლება, რომ პრესა და საზოგადოება არ დაუშვან მთელ სასამართლო გარჩევაზე თუ მის ნაწილზე — მორალის, დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი წესრიგისა თუ სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებით, ან როცა ამას მოითხოვს მხარეთა კერძო ცხოვრების ინტერესები. ... ყოველი სასამართლო დადგენილება სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო საქმის გამო საჯარო უნდა იყოს, იმ შემთხვევების გარდა, როცა არასრულწლოვანთა ინტერესები სხვას მოითხოვს, ან როცა საქმე ეხება მატრიმონიალურ დავას ან ბავშვთა მეურვეობას.”

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა  
დაცვის ევროპული კონვენცია (მუხლი 6).

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ანდა წარდგენილი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება ... სასამართლო გადანყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა, მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესი ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა ...”

---

3. გაეროს 1988 წლის „მინიმალური სტანდარტული წესები, რომლებიც ეხება მართლმსაჯულების აღსრულებას არასრულწლოვანთა მიმართ ე.წ. “პეკინის წესები”, ნესი 19.

**ჟურნალისტიკა საერთაშორისო ფედერაციის  
სახელმძღვანელო მითითებები და პრინციპები,  
რომლებიც უხეზა ბავშვების საკითხებთან  
დაკავშირებულ აუზლიკაციას**

ყველა ჟურნალისტი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მომუშავე სპეციალისტი ვალდებულია, იხელმძღვანელოს უმაღლესი ეთიკური და პროფესიული ნორმებით, ხელი შეუწყოს ჟურნალისტური პროფესიის ფარგლებში გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის შესახებ ინფორმაციის საყოველთაო გავრცელებასა და დამოუკიდებელ ჟურნალისტურ პრაქტიკაში ამ დოკუმენტის პრინციპების დამკვიდრებას.

საინფორმაციო საშუალებებმა უნდა განიხილონ ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტები და ბავშვთა უსაფრთხოების, პირადი ცხოვრების, განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ექსპლუატაციის ყველა ფორმის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები, როგორც უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც საჭიროებს გამოძიებასა და საზოგადოების ყურადღებას. ბავშვებს აქვთ პირადი ცხოვრების სრული უფლება, იმ გამონაკლისთა გარდა, რომლებიც ამ სახელმძღვანელო მითითებებშია მოცემული.

ბავშვებთან და ბავშვების კეთილდღეობასთან დაკავშირებული ჟურნალისტური საქმიანობა ყოველთვის უნდა ხორციელდებოდეს ბავშვთა დაუცველი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ჟურნალისტებმა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ არ გადაუხვიონ უმაღლეს ეთიკურ სტანდარტებსა და ნორმებს ბავშვთა პრობლემების გაშუქებისას. კერძოდ:

- ბავშვების საკითხების გაშუქებისას მათ ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ სიზუსტისა და კორექტულობის დასაცავად;
- უნდა მოერიდონ ისეთი ფოტოებისა და ინფორმაციის გამოქვეყნებას ბავშვებისათვის განკუთვნილ მედია სივრცეში, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის;
- მოერიდონ ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების სენსაციურ და სტერეოტიპულ გაშუქებას პუბლიკაციების პოპულარობის მიზნით;
- ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერი მასალის გამოქვეყნებისას საგულდაგულოდ აწონ-დანწონონ შესაძლო შედეგები და მინიმუმამდე დაიყვანონ ზიანის ფაქტორი.
- თუ ამას საზოგადოებრივი ინტერესი არ მოითხოვს, დაიცვან ბავშვის ვინაობა და არ გამოაქვეყნონ მისი ფოტოები;
- როდესაც ეს შესაძლებელია, მისცენ ბავშვებს მასმედიით თავიანთი აზრების გამოხატვის საშუალება ყოველგვარი ძალდატანების გარეშე;
- უზრუნველყონ ბავშვის მიერ მონოდებული ინფორმაციის დამოუკიდებელი შემოწმება და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ ამ ინფორმაციის შემოწმებისას ინფორმატორ ბავშვს საფრთხე არ შეექმნას;
- მოერიდონ ბავშვების სექსუალიზებული ფოტოების გამოქვეყნებას;

- გამოიყენონ ბავშვების ფოტოების მოპოვების სამართლიანი, ღია და პირდაპირი მეთოდები და, როდესაც ეს შესაძლებელია, მოიპოვონ ისინი ბავშვების, მათზე პასუხისმგებელი პირის ან მეურვის თანხმობით;
- შეამოწმონ იმ ორგანიზაციების უფლებამოსილება, რომლებიც ბავშვების სახელით ლაპარაკობენ ან წარმოადგენენ ბავშვთა ინტერესებს;
- ბავშვის ცხოვრების ამსახველი სიუჟეტისათვის მოპოვებული მასალის საფასური არ გადაუხადონ არც ბავშვს, არც ბავშვის მშობლებსა თუ მეურვეებს, თუ ეს ნამდვილად ბავშვის ინტერესებში არ შედის.

ჟურნალისტებმა კრიტიკის თვალთ უნდა განიხილონ მათი მთავრობის მიერ წარდგენილი ყველა ანგარიში თუ გაკეთებული განცხადება, რომლებშიც საუბარია ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებაზე. ბავშვთა პრობლემების განხილვა მასმედიაში უნდა მიუძღვნას არა მხოლოდ ცალკეულ ღონისძიებებს, არამედ პერმანენტულად უნდა გააშუქოს ის მოვლენები, რომლებმაც მიგვიყვანა ან მივყავართ ამ ღონისძიებების საჭიროებამდე.

*ინიცირებულია რესიფეში, ბრაზილია, 1998 წლის მაისში და მიღებულია ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესის მიერ სეულში 2001 წელს.*

## **ბავშვთა საკითხების მედიური გაშუქების სახელმძღვანელო პრინციპები – გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)**

### **განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვთა საკითხების გაშუქება**

ბავშვთა და მოზარდთა შესახებ რეპორტაჟის გაკეთებას თავისი სპეციფიკა აქვს. ზოგიერთმა რეპორტაჟმა შესაძლოა ბავშვი (ან რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები) შურისძიების ან სტიგმატიზაციის ობიექტი გახადოს.

გაეროს ბავშვთა ფონდმა წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები იმ ჟურნალისტთა დასახმარებლად შეიმუშავა, რომლებიც ბავშვთა საკითხებს აშუქებენ. იუნისეფის აზრით, აღნიშნული პრინციპები ხელს შეუწყობს მედიას, ბავშვთა საკითხები გააშუქოს ასაკისა და სხვა მგრძობიარე ასპექტების გათვალისწინებით. ჟურნალისტებს, რომელთაც სურთ, ეთიკურად გააშუქონ ბავშვთა საკითხები, სახელმძღვანელო დაეხმარება, ემსახურონ საზოგადოებრივ ინტერესებს ბავშვის უფლებათა დარღვევის გარეშე.

#### **ძირითადი პრინციპები**

1. ნებისმიერ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს ბავშვის ღირსება და მისი უფლებები;
2. ბავშვებისაგან ინტერვიუს აღების ან მათზე რეპორტაჟის/სტატიის მომზადებისას დაცული უნდა იყოს თითოეული ბავშვის შემდეგი უფლებები: მისი პირადი ცხოვრება და კონფიდენციაურობა, ბავშვების აზრის მოსმენა და მათი მონაწილეობა მათთან



- დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტი-  
სას, დაცვა ზიანისა და შურისძიებისაგან, ამგვარი  
საფრთხის შესაძლო რისკის ჩათვლით;
3. ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორ-  
ციელებისას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მისი  
საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, ბავშვთა  
ინტერესების ლობირებისა თუ მათი უფლებების  
დაცვის დროსაც კი.
  4. ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას,  
დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის აზრს მისი ასაკისა  
და მონიფულობის გათვალისწინებით.
  5. ნებისმიერი რეპორტაჟის/სტატიის კულტურული,  
სოციალური და პოლიტიკური ასპექტების შესახებ  
აუცილებელია კონსულტაცია იმ ადამიანებთან,  
რომლებიც ყველაზე კარგად იცნობენ ბავშვს და მის  
მდგომარეობას;
  6. არ გამოაქვეყნოთ სტატია ან რეპორტაჟი, რომელმაც  
შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვს, მის და-ძმებს  
ან თანატოლებს, მაშინაც კი, როდესაც შეცვლილია,  
შენიღებულია, ან არ არის მითითებული ბავშვის  
ვინაობა.

### **ბავშვებისაგან ინტერვიუს აღება**

1. ზიანი არ მიაყენოთ არც ერთ ბავშვს. თავი აარიდეთ  
ისეთი კითხვების დასმას, ან ისეთი დამოკიდებულების  
ან მოსაზრებების გამოხატვას, რომლებსაც აქვს  
განსჯის ხასიათი, რომლებიც არ ითვალისწინებს  
ბავშვის კულტურულ ფასეულობებს და საფრთხეს  
უქმნის ან ამცირებს ბავშვს, ან რომლებიც იწვევს  
ტრავმის შედეგად ნარმოქმნილი ტკივილის და  
უარყოფითი ემოციის ხელახალ განცდას.

2. ინტერვიუსათვის ბავშვის შერჩევასას ნუ მოახდენთ მის დირეკციონაციას სქესის, რასის, ასაკის, რელიგიის, სტატუსის, განათლების ან ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით.
3. არ არის საჭირო ინსცენირება. არ სთხოვთ ბავშვს ისეთი ამბის მოყოლა ან მოქმედების განხორციელება, რომელიც არ არის კავშირში მის საკუთარ ისტორიასთან.
4. აუცილებელია, რომ ბავშვმა ან მასზე პასუხისმგებელმა პირმა/მეურვემ იცოდნენ, რომ ესაუბრებიან ჟურნალისტს. აუხსენით ინტერვიუს მიზანი, აგრეთვე, სად და როგორ იქნება ის გამოყენებული.
5. აუცილებელია ბავშვის ან მისი მეურვის/მასზე პასუხისმგებელი პირის თანხმობა ნებისმიერი ინტერვიუს აღებისთვის, ვიდეოფირზე ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, დოკუმენტური ფოტოსურათების გადაღებისათვის. თუ შესაძლებელია, უმჯობესია, თანხმობა წერილობითი ხასიათის იყოს. ჟურნალისტმა თანხმობა ბავშვისაგან ან მასზე პასუხისმგებელი პირისაგან უნდა მიიღოს ყოველგვარი იძულების გარეშე და მათ უნდა იცოდნენ, რომ იმ ისტორიის შემადგენელი ნაწილი იქნებიან, რომელიც ადგილობრივი ან ფართო მასშტაბით გავრცელდება. ამის უზრუნველყოფა, ჩვეულებრივ, მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც თანხმობის მიღება ხდება ბავშვის მშობლიურ ენაზე და გადანყვებილება მიღებულია იმ უფროსთან კონსულტაციის შედეგად, რომელსაც ბავშვი ენდობა.
6. მიაქციეთ ყურადღება, სად და როგორ ხდება ბავშვისგან ინტერვიუს აღება. შეზღუდეთ ფოტოგრაფების და იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მას კითხვებს დაუსვამენ. უზრუნველყავით, რომ ბავშვები თავს არ გრძნობდნენ უხერხულად და შეძლონ საკუთარი ამბის მოყოლა გარეგანი ზეწოლის გარეშე, მათ შორის,

ჟურნალისტის მხრიდან. ფილმის, ვიდეო ან რადიო ინტერვიუების დროს გაითვალისწინეთ ვიდეო თუ აუდიო საშუალებების გავლენა ბავშვის ცხოვრებასა და ისტორიაზე. უზრუნველყავით, რომ ბავშვს არ დაემუქროს საფრთხე მისი სახლის, მეზობლების ან, საერთოდ, საცხოვრებელი გარემოს ჩვენების გამო, აგრეთვე, დარწმუნდით, რომ გარემოს ჩვენება ბავშვზე უარყოფითად არ აისახება.

### **სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვებზე რეპორტაჟის მომზადებისას**

1. უფრო მეტად ნულარ მოახდენთ ბავშვის სტიგმატიზაციას; თავი აარიდეთ კატეგორიზაციას ან სიუჟეტის ისეთ აღწერას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვისათვის სამაგიეროს გადახდა – დამატებითი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება, დამცირება, დისკრიმინაცია ან ადგილობრივი საზოგადოების მიერ გარიყვა.
2. ყოველთვის გადმოეცით ბავშვის ამბავი ან მისი სახე შესაბამის კონტექსტში.
3. ყოველთვის შეცვალეთ ბავშვის სახელი და დაფარეთ მისი გარეგნობა, თუ ბავშვი არის:
  - ა. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი;
  - ბ. ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის ჩამდენი;
  - გ. აივ-დადებითი ან შიდსით დაავადებული, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ბავშვი, მშობელი ან მასზე პასუხისმგებელი პირი არ განაცხადებს თანხმობას სრულიად შეგნებულად;
  - დ. ეჭვმიტანილი ან მსჯავრდებული;
  - ე. საომარ მოქმედებებში ჩართული ბავშვი იარაღით ხელში.
4. ბავშვისათვის ზიანის მიყენების ან სამაგიეროს გადახდის რისკის ან პოტენციური რისკის შემთხვევაში,

- შეცვალეთ ბავშვის სახელი და შენიღბეთ მისი გარეგნული სახე, თუ ბავშვი:
- ა. იყო მეომარი, ამჟამად არ აქვს იარაღი, მაგრამ შეიძლება არსებობდეს რისკი;
  - ბ. ეძებს თავშესაფარს, არის ლტოლვილი ან იძულებით გადაადგილებული პირი.
5. ზოგჯერ შეიძლება ბავშვის ვინაობის გამხელა - მისი სახელის, ან ამოსაცნობი ნიშნების მითითება, - თუკი ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია. მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა იყოთ და დაიცვათ ის მავნე ზემოქმედებისაგან, სტიგმისგან ან საპასუხო ქმედებებისაგან.
- ასეთი შემთხვევების მაგალითებია:
- ა. როდესაც ბავშვი თვითონ უკავშირდება ჟურნალისტს, რადგან სურს, გამოიყენოს აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება.
  - ბ. როდესაც ბავშვი მონაწილეობს სოციალური მობილიზაციის ან სხვა რაიმე კამპანიაში და უნდა, რომ მისი ვინაობა გამჟღავნდეს;
  - გ. როდესაც ბავშვი ჩართულია ფსიქო-სოციალურ პროგრამაში და მიაჩნია, რომ მისი სახელისა და ვინაობის თქმა აუცილებელია ჯანმრთელი განვითარებისათვის.
6. გადაამონმეთ იმის სისწორე, რის თქმასაც აპირებს ბავშვი – სხვა ბავშვებთან ან უფროსთან; სასურველია ორივესთან.
7. თუ ეჭვობთ, რომ ბავშვს შეიძლება ემუქრობოდა საფრთხე, ყურადღება გაამახვილეთ ზოგად სიტუაციაზე, პრობლემაზე და არა ამ კონკრეტულ ბავშვზე, იმის მიუხედავად, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს მისი ამბავი.

## საქართველოში მოქმედი კანონები და ეთიკური ნორმები

### საქართველოს კანონი მაუწყებლოების შესახებ

#### თავი VI.

#### სალიცენზიო პირობები და შინაარსობრივი მოთხოვნები

##### მუხლი 56. პროგრამული შეზღუდვები

5. იკრძალება ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამების იმ დროს განთავსება, როცა მათ მიერ ამ პროგრამების ნახვის ან მოსმენის დიდი ალბათობა არსებობს.

#### თავი VIII.

#### რეკლამა, ტელეშოპინგი, სპონსორობა

##### მუხლი 63. ზოგადი დებულებანი

6. რეკლამაში, რომელიც გამიზნულია ბავშვებისათვის ან რომელშიც ბავშვები მონაწილეობენ, არ უნდა შეილახოს მათი ინტერესები.

7. ტელეშოპინგი არ შეიძლება გამიზნული იყოს არასრულწლოვანთათვის.

##### მუხლი 64. კომერციული რეკლამა და ტელეშოპინგი

8. საგანმანათლებლო-შემეცნებითი, საბავშვო ან რელიგიური პროგრამა რეკლამით ან ტელეშოპინგით შეიძლება შეწყდეს არა უმეტეს 15 წუთში ერთხელ და არა უმეტეს 45 წამით.

## საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ

### თავი I ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 2. კანონის მიზანი და გამოყენების სფერო

8. სამაუწყებლო რეკლამისა და სპონსორობის საკითხები რეგულირდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო რეკლამისადმი ზოგადი მოთხოვნები, ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის, სექსუალური ხასიათის პროდუქციის, სამედიცინო ნაწარმის (მომსახურების), ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების, იარაღის, ფასიანი ქვანახების რეკლამის, აგრეთვე რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს არასრულწლოვანთა დაცვის საკითხები რეგულირდება ამ კანონის შესაბამისად. (9.06.2006 N3245)

### თავი II ზოგადი და სპეციალური მოთხოვნები რეკლამისადმი

#### მუხლი 4. ზოგადი მოთხოვნები რეკლამისადმი

14. აკრძალულია სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეკლამირებისას არასრულწლოვანთა გამოსახულების ან ხმის ნებისმიერი ფორმით გამოყენება. (20.06.2003 N 2442)

#### მუხლი 8. ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამა

4. აკრძალულია ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეკლამის მიმართვა უშუალოდ არასრულწლოვანებისადმი, აგრეთვე ასეთი რეკლამის ნებისმიერი სახით გავრცელება არასრულწლოვანთათვის გათვალისწინებულ კინო- და ვიდეომომსახურებაში, რადიო- და ტელეგადაცემებში, ბეჭდვით გამოცემებში.

**მუხლი 14. არასრულწლოვანთა დაცვა რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს**

რეკლამის წარმოების, განთავსებისა და გავრცელების დროს არასრულწლოვანთა გულუბრყვილობისა და გამოუცდელობის ბოროტად გამოყენებისაგან მათი დაცვის მიზნით აკრძალულია:

- ა) არასრულწლოვანთათვის შთაგონება – დაარწმუნონ მშობლები ან სხვა პირები რეკლამირებადი საქონლის შეძენაში;
- ბ) არასრულწლოვანთა ყურადღების მიპყრობა იმაზე, რომ რეკლამირებადი საქონლის ფლობა უპირატესობას ანიჭებს მათ სხვა არასრულწლოვანთა მიმართ, ხოლო მისი უქონლობა იწვევს სანინააღმდეგო ეფექტს;
- გ) რეკლამაში ისეთი ტექსტის, აუდიო- და ვიდეოინფორმაციის მოთავსება, რომლებიც აჩვენებს არასრულწლოვნებს საშიშ ადგილას და ვითარებაში;
- დ) არასრულწლოვანთათვის საქონლის გამოსაყენებლად საჭირო ჩვევების აუცილებელი დონის გაუთვალისწინებლობა. ამასთან, თუ საქონლის გამოყენების შედეგები ნაჩვენები ან აღწერილია, რეკლამა უნდა იძლეოდეს ინფორმაციას იმის შესახებ, რისი მიღწევაც რეალურად შესაძლებელია იმ ასაკობრივი ჯგუფის არასრულწლოვანთათვის, რომლისთვისაც განკუთვნილია ეს საქონელი;
- ე) არასრულწლოვანთათვის საქონლის ღირებულებაზე (ფასზე) არარეალური (დამახინჯებული) წარმოდგენის შექმნა, კერძოდ, სიტყვების „მხოლოდ“, „სულ რაღაც“ და მათ მსგავსთა გამოყენებით, აგრეთვე პირდაპირი ან ირიბი მითითებით იმაზე, რომ რეკლამირებადი საქონელი ხელმისაწვდომია ყველა ოჯახის ბიუჯეტისათვის.

## საქართველოს კანონი მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ

### თავი I ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) მავნე ზეგავლენა — იმ ფილმების ჩვენებით, ნაბეჭდი პროდუქციის, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს მოხმარება-გასაღებით, აზარტულ თამაშობებში მონაწილეობით მიღებული ზემოქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვნის ფსიქიკურ ან/და ფიზიკურ ჯანმრთელობას, მის მორალურ და სოციალურ განვითარებას;
- ბ) აზარტული თამაში — თამაში, რომლის შედეგია ფულის, საკუთრების, საკუთრების უფლების წაგება ან მოგება, რაც დამოკიდებულია შემთხვევითობაზე;
- გ) აზარტული სათამაშო დაწესებულება — დაწესებულება, სადაც იმართება აზარტული თამაში;
- დ) აზარტული სათამაშო ავტომატი — მექანიკური ან ელექტრონული მექანიზმი, რომლით თამაშის შედეგია ფულის წაგება ან მოგება;
- ე) კოდირებული სატელევიზიო არხი — სატელევიზიო არხი, რომლის პროგრამის მატარებელი სიგნალები დაშიფრულია და კავშირი ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლობის ორგანიზაცია თანახმაა უზრუნველყოს საზოგადოებისათვის გაშიფრვის საშუალებათა მიწოდება;
- ვ) ძალადობის ამსახველი სცენა — კადრი, რომელშიც ასახულია განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა, თვითმკვლელობა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, წამება, დასახიჩრება.



## მუხლი 5. ტერმინთა განმარტება

### ზოგადი დებულებები

#### მუხლი 5. ტერმინთა განმარტება

უ) საბავშვო დრო – დროის ისეთი მონაკვეთი, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა, რომ არასრულწლოვანები ოჯახის ზრდასრული წევრებისაგან დამოუკიდებლად უსმენენ ან უყურებენ ტელე-რადიოსამაუწყებლო პროგრამებს.

დ) შესაფერისი განრიგი – სამაუწყებლო ბადის ისეთი გეგმა, რომლის დროსაც გათვალისწინებულია პროგრამის შინაარსი; სავარაუდო აუდიტორიაში არასრულწლოვანთა რაოდენობა და ასაკი (სასკოლო საათების, უქმე დღეებისა და არდადეგების მხედველობაში მიღებით); კონკრეტული მაუწყებლის ან პროგრამის ხასიათი; კონკრეტულ დღესა და საათზე კონკრეტული მაუწყებლის მიერ გადაცემული პროგრამისადმი აუდიტორიის სავარაუდო მოლოდინი.

ქ) წყალგამყოფი – საეთერო ტელერადიოსამაუწყებლო ბადეში დროის გამყოფი ზღვარი, რომელიც იწყება 06.00 საათზე და სრულდება 20.00 საათზე და რომელიც თავისუფალია არასრულწლოვანებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამებისაგან; არასრულწლოვნებისათვის მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამებისა და პროგრამებში მასალების განთავსება 20.00 საათიდან 24.00 საათამდე შეზღუდულია ამ კოდექსით დადგენილი დროითი ფარგლებით.

### თავი III

### ჯეროვანი სიზუსტის დაცვა

#### მუხლი 12. ჯეროვანი სიზუსტის დაცვის პრინციპი

ახალი ამბები და ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია მიენოდება მიუკერძოებლად და ჯეროვანი სიზუსტით.

### **მუხლი 13. მაუნყებლის მიერ ზუსტი ინფორმაციის მინოდების უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები (ნესები)**

1. მაუნყებელი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა უზრუნველყოს ინფორმაციის წყაროს და ფაქტების სიზუსტე.

2. მაუნყებელი ვალდებულია მიაწოდოს აუდიტორიას სანდო და ზუსტი ინფორმაცია, არ დაუშვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება.

3. მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომების შესწორება უნდა მოხდეს ღიად და დაუყოვნებლივ, თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით სათანადო საეთერო დროს, მას შემდეგ, რაც მაუნყებლისათვის ცნობილი გახდება შეცდომის შესახებ.

4. სტატისტიკური ინფორმაციის მინოდებისას, მაუნყებელმა უნდა მიუთითოს ინფორმაციის წყარო. განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ჯანდაცვის, დანაშაულისა და ეროვნული უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მინოდებას იმისათვის, რომ არ გამოიწვიოს ზედმეტი შეშფოთება საზოგადოებაში.

5. აუდიტორიის შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების მიზნით, მაუნყებელმა თავი უნდა შეიკავოს ახალ ამბებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში დადგმებისა და ინსცენირების გამოყენებისგან, ან ნათლად უნდა განმარტოს, რომ ეს არის დადგმა ან ინსცენირება. დოკუმენტური ან რეალური ფაქტების ყოველი სამაუნყებლო რეკონსტრუქცია უნდა იყოს ნათლად მითითებული.

## **თავი IV მიუკერძოებლობა**

### **მუხლი 15. მიუკერძოებლობის პრინციპი**

ახალი ამბების გადაცემისას, მაუნყებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიუკერძოებლობის პრინციპის განუხრელი დაცვა.

**მუხლი 16. ახალი ამბების გადაცემისას მაუწყებლისადმი  
ნაყენებული მოთხოვნები (წესები)**

3. პოლიტიკური ან სხვა სახის დავის გაშუქებისას მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს გადაცემების ციკლის განმავლობაში ბალანსის დაცვა. იმ შემთხვევაში, თუ გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე ბალანსის დაცვა დაგეგმილია გადაცემათა ციკლის განმავლობაში, ამის შესახებ აუდიტორიას უნდა ეცნობოს გადაცემის ეთერში გასვლის პირველივე დღეს.

4. მაუწყებელი ვალდებულია ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნოს ფაქტი და კომენტარი. თავიდან უნდა იყოს აცილებული მოსაზრებათა ცალმხრივი ინტერპრეტაცია.

5. სადავო საკითხებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრება უნდა გაშუქდეს დროის ისეთ მონაკვეთში, როდესაც საკითხი აქტუალურია.

**თავი V  
სამართლიანი მოპყრობა**

**მუხლი 20. პროგრამის მონაწილეთა სამართლიანი მოპყრობის უზრუნველყოფის მოთხოვნები (წესები)**

1. მაუწყებლები და პროგრამის შემქმნელები/პროდიუსერები პროგრამის პოტენციურ მონაწილეებს უნდა მოეპყრან სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

2. პროგრამაში მიწვევისას მაუწყებელმა პოტენციურ მონაწილეს უნდა აცნობოს (გარდა შემთხვევისა, თუ განხილვის საგანი ტრივიალურია და მონაწილის მნიშვნელობა მინიმალურია):

- ა) პროგრამის არსი, მიზანი და მიწვევის მიზეზები, გადაცემის თემა და მათი მიწვევის მიზეზი. როდის (თუ ცნობილია) და სად გადაიცემა იგი პირველად;
- ბ) პროგრამაში მონაწილეობის ფორმა (პირდაპირი ჩართვა, ჩანაწერი, დისკუსია, რედაქტირებული, არარედაქტირებული და ა.შ.);

- გ) სავარაუდო კითხვები და სხვა სავარაუდო სტუმრების ვინაობა;
- დ) მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მონაწილის პირველად თანხმობაზე და გამოინვიოს არსებითი უსამართლობა;
- ე) ინფორმაცია მაუწყებლის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ;
- ვ) ნათლად უნდა განემარტოს, მიეცემათ თუ არა პროგრამის წინასწარი ნახვის შესაძლებლობა, რამდენად ექნებათ მასში ცვლილებების შეტანის უფლება; მაუწყებელს შეუძლია თავი შეიკავოს ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის მინოდებისგან, თუ ეს ქმედება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით ან ამ კოდექსის საფუძველზე.

3. თუ მონაწილე არის 18 წლამდე ასაკის, თანხმობა მიღებული უნდა იყოს მშობლისგან, მეურვისაგან ან მზრუნველისაგან. მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობის მიუხედავად, 18 წლამდე ასაკის პირებს არ უნდა ეთხოვოთ ისეთ საკითხზე მოსაზრების გამოხატვა, რომელზეც სათანადო პასუხის გაცემა მათ ფიზიკურ ან გონებრივ შესაძლებლობებს აღემატება.

4. იმ შემთხვევაში, თუ სრულწლოვან, მაგრამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს თანხმობის განცხადება არ შეუძლია, თანხმობა მიღებული უნდა იქნას ამ პირის მეურვისაგან ან მზრუნველისაგან.

5. გადაცემის რედაქტირებისას მონაწილეები სათანადოდ უნდა იქნან წარმოჩენილნი.

6. მაუწყებელმა უნდა დაიცვას მონაწილისათვის მიცემული პირობა გადაცემის შინაარსთან, კონფიდენციალურობის ან ანონიმურობის დაცვასთან დაკავშირებით.

7. მაუწყებელი უნდა დარწმუნდეს, რომ საკუთარი ან სხვისგან მოპოვებული მასალის თავდაპირველისგან განსხვავებული მიზნით ან სხვა პროგრამაში გამოყენება არ გამოინვეცს უსამართლობას. აღნიშნული ეხება როგორც

სხვა წყაროებიდან მოპოვებულ მასალას, ასევე მაუწყებლის მასალას.

8. პირს, რომლის მიმართ პროგრამაში ბრალდებები გამოითქვა, უნდა მიეცეს დროული და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება.

9. მაუწყებელმა დეტალურად უნდა აღწეროს ბრალდებები სათანადო პასუხის მიღების უზრუნველსაყოფად. პასუხი უნდა გაშუქდეს სამართლიანად, ზუსტად და გადაიცეს იმავე პროგრამით.

## თავი X

### პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

#### **მუხლი 35. მაუწყებლის მიერ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები (წესები)**

1. დაუშვებელია მაუწყებლის მიერ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა.

2. პროგრამის მომზადებისა და გადაცემისას, ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. მაუწყებლის მიერ მასალის მოპოვების მიზნით გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს პროგრამის შინაარსის პროპორციული.

4. ინფორმაცია პირის საცხოვრებელი ადგილის, ტელეფონის, ფოსტის თუ სხვა პირადი საკონტაქტო მონაცემების შესახებ, შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას.

5. ეთერში გადაცემამდე, მაუწყებელი ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ საჯარო თავშეყრის ადგილებში გადაღებული კადრები, სიტყვები ან ქმედება, არ არის ისეთი პირადი ცხოვრების ელემენტების მატარებელი, რომ საჭიროებდეს პირის ან გადაღებული ორგანიზაციის ნინასწარ თანხმობას.

6. ადამიანის პირად ცხოვრებაში ან/და იურიდიული პირის საქმიანობაში ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიზნად ისახავს საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას, არის ამ მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს.

7. გაშუქებულ მოვლენებში შემთხვევით დაფიქსირებული ადამიანები არ კარგავენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, არც პროგრამის მომზადების და არც მისი ეთერში გაშვებისას, თუ ასეთი ხელყოფა გამართლებული არ არის. აღნიშნული წესი მოქმედებს მოვლენების მიმდინარეობის დროსაც და მოგვიანებით ამ მოვლენების ამსახველი პროგრამების ეთერში გაშვების შემთხვევაშიც.

8. საჯარო ან კერძო დაწესებულების ტერიტორიაზე ვიდეო-აუდიო ჩანაწერის მოსამზადებლად სავალდებულოა თანხმობის მიღება შესაბამისი უფლებამოსილი პირისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მასალის უნებართვოდ მომზადება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით. უნებართვის აღება არ არის სავალდებულო იმ პიროვნებისაგან, რომელიც შემთხვევით მოხვდა ჩანწერილ მასალაში, ან თუ, მისი ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირება შეუძლებელია.

9. სკოლაში, საავადმყოფოში, სასჯელ-აღსრულების დაწესებულებაში, პოლიციის განყოფილებაში ან სასწრაფო დახმარების მანქანაში სიუჟეტის მოსამზადებლად, სავალდებულოა თანხმობის მიღება როგორც უფლებამოსილი პირის, ასევე ადგილზე მყოფი იმ პირებისაგან, რომელთა გადაღება ხდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მასალის უნებართვოდ მომზადება გამართლებულია საზოგადოების ინტერესით. უნებართვის აღება არ არის სავალდებულო, თუ ჩანწერილ მასალაში პირის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირება შეუძლებელია.

10. მაუწყებელმა უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა მის მიერ საკუთარი ან სხვისგან მოპოვებული მასალის თავდაპირველისგან განსხვავებული მიზნით ან

სხვა პროგრამაში გამოყენებამ არ გამოიწვიოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გაუმართლებელი ხელყოფა.

11. დორსტეპინგი გაუმართლებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ ღიად ჩანერა ხელს შეუშლის ჟურნალისტური გამოძიების მიმდინარეობას.

12. მაუნყებელს მეორე მხარესთან სატელეფონო საუბრების ჩანერის უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ სატელეფონო საუბრის ჩანერამდე რესპოდენტს თავი წარუდგინა, განუმარტა ზარის მიზანი და აუხსნა, რომ ზარი ინერება და შესაძლოა გამოქვეყნდეს (თუ ეს არის ჩანერის მიზეზი). თუ მოგვიანებით გაირკვევა, რომ ჩანერილი საუბარი ეთერით გადაიცემა (მაგრამ ამის შესახებ რესპოდენტს სატელეფონო საუბრის დროს არ ეცნობა), მაშინ მაუნყებელმა რესპოდენტისგან მასალის გაშვებამდე თანხმობა უნდა მიიღოს, თუ სხვაგვარი ქცევა გამართლებული არ არის.

13. საჯარო ადგილებში მაუნყებელს შეუძლია, წინასწარი გაფრთხილების გარეშე აიღოს ინტერვიუ, გადაიღოს და ჩანეროს ადამიანები საინფორმაციო პროგრამებისათვის.

14. ფარული მეთოდების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება და გადაცემა გამართლებულია:

- ა) როდესაც მოვლენა საზოგადოებრივი ინტერესის საგანია, არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ახალი მტკიცებულებები იქნება მოპოვებული და ეს აუცილებელია პროგრამის სიზუსტის უზრუნველსაყოფად.
- ბ) საზოგადოებრივი ინტერესის შემცველ საკითხებზე სოციოლოგიური კვლევის ჩასატარებლად, როდესაც სხვა გზით შეუძლებელია იმ დამოკიდებულების თუ მოსაზრების გამოვლენა, რომელიც კვლევის საგანია.
- გ) კომედიური და გასართობი პროგრამების მოსამზადებლად, სადაც ფარული ჩანერა ერთ-ერთი ჩვეული მეთოდია, არ წარმოადგენს პირის პირად ცხოვრებაში უხემჩარევას და არ იწვევს მნიშვნელოვან გაღიზიანებას, სტრესს ან უხერხულობას.

15. კერძო საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე ფარული ჩანერა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესით, მათ შორის, საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისას, რომ აღმოჩენილი იქნება დანაშაულის მტკიცებულება.

16. ფარული მეთოდებით მასალის გადაღებად ან ჩანერად ჩაითვლება ჩამწერი აპარატურის ან ჩართული ვიდეო კამერის გამოყენება ან დატოვება კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მობინადრის ან მისი წარმომადგენლის სრული და ინფორმირებული თანხმობის გარეშე. აღნიშნული მეთოდების რიცხვს შესაძლოა ასევე განეკუთვნებოდეს სატელეფონო საუბრის ჩანერა რესპოდენტის ინფორმირების გარეშე, ან ჩანერის განგებ გაგრძელება, როდესაც მეორე მხარე ფიქრობს, რომ პროცესი უკვე დასრულებულია.

17. ფარული მეთოდებით გადაღებული ან ჩანერილი მასალის ეთერში გაშვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი მოქმედება გამართლებულია.

18. გასართობ და კომედიურ პროგრამებში, ფარული მეთოდებით მოპოვებული მასალა ჩანერილი პირების თანხმობის გარეშე არ უნდა იქნას გამოყენებული. თანხმობა არ არის საჭირო, თუ შეუძლებელია ასეთ მასალაში აღბეჭდილი პირების და/ან ორგანიზაციების იდენტიფიცირება.

19. ფარული ჩანანერის რედაქტირების შედეგად მომხდარი ფაქტი ზუსტად და სამართლიანად უნდა აისახოს პროგრამაში.

20. მაუნყებელმა არ უნდა გადაიღოს ან გაავრცელოს მასალა, რომელშიც ასახულია უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულები ან პიროვნება პირადი ტრაგედიის ან მწუხარების დროს, მათ შორის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ან დაკრძალვაზე, როდესაც ეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ხელყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიღებულია პირის თანხმობა. პირის გარდაცვალების შემთხვევაში საჭიროა ოჯახის წევრების თანხმობა.



21. დაუშვებელია მაუწყებლის მიერ გასაჭირში მყოფი ადამიანების მიმართ ზენოლის განხორციელება იმისათვის, რომ მათ პროგრამაში მიიღონ მონაწილეობა ან დათანხმდნენ ინტერვიუზე.

22. დაუშვებელია გარდაცვლილი პირის, უბედური შემთხვევისას დაზარალებულის ან ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება, სანამ ფაქტი ოჯახის წევრებისთვის არ გახდება ცნობილი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამგვარი ინფორმაციის გავრცელება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით.

23. ტანჯვისა და მწუხარების ამსახველი საარქივო მასალის (დანაშაულის ჩათვლით) გამოყენებისას მაუწყებელი უნდა შეეცადოს, შეამციროს ის პოტენციური ტრავმა, რომელიც შესაძლოა ამ მასალამ მიაყენოს მასში ასახულ პიროვნებას და/ან მის ნათესავებს. იგივე ეხება ინსცენირებულ რეკონსტრუქციებსა და ფაქტებზე დაფუძნებულ პროგრამებს.

24. შესაძლებლობის ფარგლებში მაუწყებელი უნდა შეეცადოს, შეატყობინოს მასალაში ასახულ პიროვნებას (პიროვნებებს) და/ან მისი ოჯახის წევრებს დაგეგმილი პროგრამის შესახებ და პროგრამის ეთერში გაშვებაზე, იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნული მასალა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყო წარსულში.

25. მაუწყებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს 18 წლამდე ასაკის პირების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. 18 წლამდე ასაკის პირები არ კარგავენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას მათი მშობლების პოპულარობის ან სკანდალური იმიჯის გამო.

26. 18 წლამდე ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის პირად ცხოვრებაში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ მათი მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განხილვის საგანი არ არის მნიშვნელოვანი, ან ადეკვატურია არასრულწლოვანთა შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის სოციალურ სტატუსთან ან თუ ინდივიდის მონაწილეობა პროგრამაში უმნიშვნელოა,

ან თანხმობის გარეშე მოქმედება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით.

27. 18 წლამდე ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისათვის შეკითხვის დასმა დასაშვებია მხოლოდ მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კითხვები არ შეეხება სადავო ფაქტებს ან მოვლენებს, ან თანხმობის გარეშე მოქმედება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით.

## **თავი XI** **არასრულწლოვანთა დაცვა**

### **მუხლი 37. არასრულწლოვანთა დაცვის პრინციპი**

1. მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს არასრულწლოვნების დაცვა მავნე ზეგავლენისაგან.

2. პროგრამების განრიგის შედგენისას მაუწყებელმა უნდა დაიცვას ბალანსი არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის უზრუნველყოფასა და ზრდასრული აუდიტორიის უფლებას შორის, დღის განმავლობაში მიიღოს ინფორმაცია. საინფორმაციო პროგრამის ეთერში გასვლისას უნდა გაკეთდეს გამაფრთხილებელი განცხადება, თუ ეთერში გასულმა მასალამ შეიძლება გამოიწვიოს აუდიტორიის აღელვება ან აღშფოთება.

### **მუხლი 38. მაუწყებლის მიერ არასრულწლოვანთა დაცვის უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები (ნესები)**

1. აკრძალულია მაუწყებლის მიერ ისეთი პროგრამის გადაცემა ან პროგრამაში მასალის განთავსება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას.

2. მაუწყებელი ვალდებულია გამოიყენოს სამაუწყებლო პროგრამათა კლასიფიკაციის ამ კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმები, პროგრამათა კატეგორიების დადგენის მიზ-

ნით და განათავსოს ისინი სამაუწყებლო ბადეში ამ კოდექსით განსაზღვრული დროითი შეზღუდვების შესაბამისად;

3. სამაუწყებლო ბადის შედგენისას მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს:

- ა) არსებობს თუ არა არასრულწლოვნების ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისათვის მავნე ზეგავლენის მოხდენის რეალური საფრთხე;
- ბ) რამდენად შესაფერისია პროგრამა ან/და მასში გამოყენებული მასალები შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის არასრულწლოვანთათვის;
- გ) პროგრამის დანიშნულება და სარედაქციო ღირებულება.

4. არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვა სრულად უნდა იქნას უზრუნველყოფილი წყალგამყოფის მოქმედების პერიოდში, რომელიც მოიცავს 06.00 საათიდან 20.00 საათამდე პერიოდს;

5. სამაუწყებლო ბადის შედგენისას მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ 20.00 საათიდან 24.00 საათამდე, სამაუწყებლო ბადეში პროგრამათა დაგეგმვა უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ მოხდეს ამ კოდექსით განსაზღვრულ არასრულწლოვანთა ასაკობრივ ჯგუფებზე მავნე ზეგავლენის მოხდენა;

6. ეს კოდექსი ადგენს არასრულწლოვანთა შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებს:

- ა) 7 წლამდე;
- ბ) 12 წლამდე;
- გ) 15 წლამდე;
- დ) 18 წლამდე;

7. ამ კოდექსით განსაზღვრული არასრულწლოვანთა ასაკობრივი ჯგუფების მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნით, მაუწყებელი ვალდებულია მოახდინოს მის სამაუწყებლო ბადეში განსათავსებელი პროგრამების კლასიფიკაცია არასრულწლოვანთა ამ კოდექსით განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფებისათვის შეუფერებელი, შესაბამისი

კატეგორიების პროგრამების განსაზღვრისა და მათი სათანადო დროითი შეზღუდვებით დაგეგმვის გზით;

8. დგინდება არასრულწლოვანთათვის მავნე ზეგავლენის მომხდენ სამაუწყებლო პროგრამათა შემდეგი კატეგორიები:

- ა) 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამები;
- ბ) 15 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამები;
- გ) 12 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამები;
- დ) 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამები;

9. მაუწყებლებმა უნდა გამოიყენონ პროგრამათა კატეგორიების მიხედვით კლასიფიკაციისათვის ამ კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმები;

10. მაუწყებელი ვალდებულია სამაუწყებლო ბადე დაგეგმოს შემდეგი დროითი შეზღუდვებით:

- ა) 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამები არ განათავსოს 06.00 საათიდან 24.00 საათამდე;
- ბ) 15 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამები არ განათავსოს 06.00 საათიდან 23 საათამდე;
- გ) 12 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამები არ განათავსოს 06.00 საათიდან 20 საათამდე;
- დ) 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამები სამაუწყებლო ბადეში არ განათავსოს 06.00 საათიდან 20.00 საათამდე, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში, როცა არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანებისათვის შეუფერებელი მასალების განთავსება იმ პროგრამებში, რომელიც დაგეგმილია 06 საათიდან 20.00 საათამდე ანუ წყალგამყოფის მოქმედების პერიოდში, შეიძლება

განხორციელდეს, მხოლოდ სათანადო და მკაფიო გაფრთხილებით, რომ პროგრამა შეიცავს 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანებისათვის შეუფერებელ მასალას: ვიზუალური სპეციალური ნიშანდებით, მუდმივად მასალის გადაცემისას, ტექსტურად, აგრეთვე ვერბალურად მასალის გადაცემამდე - წინასწარ.

11. პროგრამა, რომელიც რომელიმე დროითი შეზღუდვით ზღვარს კვეთს სრულად უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამის დაწყების მომენტისათვის მოქმედ მოთხოვნებს.

12. შემდეგი სპეციალური შემზღუდავი ნიშანი უნდა გამოისახოს პროგრამის დაწყებისას და ყოველი სარეკლამო შესვენების შემდეგ, 60 წამის განმავლობაში:

- ა) „18“, წრეში, როდესაც პროგრამა შეუფერებელია 18 წლამდე არასრულწლოვანებისთვის;
- ბ) „15“, წრეში, როდესაც პროგრამა შეუფერებელია 15 წლის არასრულწლოვანებისთვის;
- გ) „12“, წრეში, როდესაც პროგრამა შეუფერებელია 12 წლამდე არასრულწლოვანებისთვის;
- დ) „7“, როდესაც პროგრამა შეუფერებელია 7 წლამდე არასრულწლოვანებისთვის;

13. რადიომაუწყებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს საბავშვო დროს სამაუწყებლო ბადის დაგეგმვას. ზრდასრული აუდიტორიისათვის განკუთვნილ პროგრამაზე გადასვლა არ უნდა მოხდეს მკვეთრად, წყალგამყოფის შემდეგ ან საბავშვო დროს.

14. მაუწყებელი ვალდებულია, მიიღოს სკოლის თანხმობა, როდესაც გადაღება სკოლის ტერიტორიაზე ან სასკოლო დროს ხორციელდება.

### **მუხლი 39. სექსუალური, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სცენები**

1. დაუშვებელია სექსუალური სცენის, აგრეთვე გაუპატიურების ან/და სექსუალური ძალადობის სცენის გრაფიკული გამოსახვა და გადაცემა, 06.00 საათიდან 24:00 საათამდე;

2. სექსუალური სცენების ან/და სქესობრივი ურთიერთობის შესახებ განხილვების ეთერში გადაცემა 20:00 საათიდან 23:00 საათამდე, გამართლებულია მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას, ჯეროვნად შემოკლებული და რედაქტირებული ფორმით.

#### **მუხლი 40. შეურაცხმყოფელი ლექსიკა**

უხამსი ქმედება და შეურაცხმყოფელი ლექსიკა არ უნდა იქნას გამოყენებული არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ პროგრამებში და ნყალგამყოფის მოქმედების პერიოდში.

#### **მუხლი 41. ძალადობა და სახიფათო ქმედება**

1. ძალადობის ან მისი შედეგების ამსახველი კადრები, აგრეთვე ძალადობის როგორც ვიზუალური, ისე ვერბალური აღწერის გადაცემა, უნდა იყოს ჯეროვნად რედაქტირებული 23:00 საათამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გამართლებულია შესაბამისი კონტექსტით.

2. დაუშვებელია არასრულწლოვნის მიერ იოლად იმიტირებადი ძალადობრივი ან სახიფათო ქმედების გადაცემა:

- ა) საბავშვო პროგრამებში;
- ბ) 23:00 საათიანწყალგამყოფამდე, თუ ამის მნიშვნელოვანი სარედაქციო დასაბუთება არ არსებობს.

#### **მუხლი 42. ნარკოტიკები, თამბაქო, ალკოჰოლი**

1. დაუშვებელია ნარკოტიკების უკანონო გამოყენების, ალკოჰოლის ან თამბაქოს არაჯეროვანი გამოყენების გადაცემა 23:00 საათამდე ან საბავშვო პროგრამებში.

2. დაუშვებელია ნარკოტიკების უკანონო გამოყენების, ალკოჰოლისა და თამბაქოს არაჯეროვანი გამოყენების გამართლება, ნახალისება ან მოწონება.

3. დაუშვებელია ნარკოტიკების, საინექციო ხელსაწყოების, ნარკოტიკული ნივთიერებების მომზადების ტექნოლოგიის, გამოყენების პროცესის (იქნება ეს სოციალური კლიპი, დოკუმენტური ფილმი, ტელეგადაცემა თუ სხვ.) გადაცემა.

**მუხლი 43. ქვეცნობიერზე ზემოქმედება, ჰიპნოზი, ოკულტიზმი და პარანორმალური მოვლენები**

1. დაუშვებელია მაუნყებლის მიერ ტექნიკური, აუდიო ან ვიზუალური მონტაჟის საშუალებით დროის უმცირეს მონაკვეთში ან სხვაგვარად ინფორმაციის გადაცემა ან ზეგავლენის მოხდენა აუდიტორიის ქვეცნობიერზე.

2. ოკულტიზმის, პარანორმალური, სხვა მსგავსი მოვლენების ან ჰიპნოზის ამსახველი მასალის ჩვენება დაუშვებელია 23:00 საათამდე. მაუნყებელმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა შემცირდეს მგრძნობიარე აუდიტორიაზე ჰიპნოზირების ან სხვა უარყოფითი რეაქციის რისკი.

**მუხლი 44. არასრულწლოვანთა დაცვის სხვა საკითხები**

1. არასრულწლოვანის ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების პატივისცემასთან ერთად, მაუნყებელმა უნდა უზრუნველყოს პროგრამაში მონაწილე არასრულწლოვანთა ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სულიერი კეთილდღეობის დაცვა, მშობელთა, მზრუნველთა ან მეურვეთა თანხმობის მიუხედავად.

2. მაუნყებელმა უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. არასრულწლოვანი არ კარგავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას მშობლების ან სკოლაში მომხდარი მოვლენების გამო.

3. მაუნყებელმა უნდა დაიცვას არასრულწლოვან ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მონშეთა და დაზარალებულთა (განსაკუთრებით, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენ პირთა) ანონიმურობა.

**მუხლი 45. სამაუნყებლო პროგრამათა კატეგორიების განმსაზღვრელი კრიტერიუმები**

1. 18 წლამდე არასრულწლოვანებისთვის შეუფერებლად ჩაითვლება სამაუნყებლო პროგრამა, თუ ის შეიცავს:

- ა) სექსობრივი აქტის ან სექსუალური ძალადობის ამსახველ გრაფიკულ სცენებს;
  - ბ) არასრულწლოვანის მონაწილეობით ან გაუკუღმართებული ფორმით სექსუალური ურთიერთობის ამსახველ სცენებს;
  - გ) ნარკოტიკების დამზადების და მოხმარების წესის ახსნა-განმარტებასა და მოხმარების გამართლებას ან მოწონებას;
  - დ) თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების გამართლებასა და მოწონებას;
  - ე) თვითმკვლელობის, მკვლელობის ან სიკვდილით დასჯის სცენების გრაფიკულ ასახვას ახლო ხედით ან 15 წამზე მეტი ხნით;
  - ვ) იოლად ხელმისაწვდომი საყოფაცხოვრებო იარაღის გამოყენებას (დანა, ნაჯახი და ა.შ.) ზიანის მიყენების მიზნით ან მკვლელობისთვის;
  - ზ) ძალადობის ამსახველ სცენებს ახლო ხედით ან 15 წამზე მეტი ხნით (გარდა შემეცნებით-საგანმანათლებლო, ისტორიული, ფანტასტიკური ან კომედიური ჟანრის პროგრამებისა);
2. 15 წლამდე არასრულწლოვნებისთვის შეუფერებლად ჩაითვლება პროგრამა თუ ის შეიცავს:
- ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სიუჟეტებსა და სცენებს;
  - ბ) სიშიშვლეს სექსუალურ კონტექსტში, სექსუალურ სცენებს ან მათ გრაფიკულ ასახვას;
  - გ) შეურაცხმყოფელ ლექსიკას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გამართლებულია კონტექსტით;
  - დ) ნარკოტიკული საშუალებებისა და მათ მოხმარებასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას;
3. 12 წლამდე არასრულწლოვნებისთვის შეუფერებლად ჩაითვლება პროგრამა, რომელიც შეიცავს:
- ა) ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულ სიუჟეტებსა და სცენებს;
  - ბ) შეურაცხმყოფელ ლექსიკას;



4. 7 წლამდე არასრულწლოვნებისთვის შეუფერებლად ჩაითვლება პროგრამა, რომელიც შეიცავს ამ მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრულ სიუჟეტებსა და სცენებს, აგრეთვე მხატვრული, დოკუმენტური ან მულტიმედია-ციური ფილმი, რომელიც შეიცავს ამ ასაკობრივ ჯგუფზე ძლიერი ემოციური (ნეგატიური) ზეგავლენის მომხდენი შინაარსის ამსახველ სიუჟეტებსა და სცენებს.

#### **მუხლი 46. შეუზღუდავი პროგრამა**

შეუზღუდავი პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ამ კოდექსის 45-ე მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე პუნქტებით განსაზღვრულ სიუჟეტებს, უნდა იყოს შესაფერისი ოჯახური აუდიტორიისთვის და არ უნდა შეიცავდეს ძლიერი ნეგატიური ემოციების გამომწვევ სიუჟეტებს, სცენებსა ან თემატიკას.

#### **მუხლი 47. სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუნწყებლის მიერ არასრულწლოვანთა დაცვის უზრუნველყოფის შესახებ**

1. სამაუნწყებლო ბადის დაგეგმვისას მაუნწყებელმა უნდა გაითვალისწინოს:

- ა) პროგრამის ხასიათი;
- ბ) აუდიტორიის სავარაუდო სიდიდე და ასაკი, სასკოლო დრო, დასვენებისა და უქმე დღეები;
- გ) პროგრამის დაწყებისა და დასრულების დრო;
- დ) მაუნწყებლისა და კონკრეტული პროგრამის ხასიათი;
- ე) სავარაუდო აუდიტორიის მოლოდინი მაუნწყებლის მიმართ კონკრეტულ დღესა და დროს.

2. სახიფათო ქმედების გაშუქებას თან უნდა ერთვოდეს გაფრთხილება იმის შესახებ, რომ მისი გამეორება სახიფათოა ექსპერტების ზედამხედველობის გარეშე.

3. ფასიან სამაუნწყებლო არხს შეუძლია განათავსოს პროგრამა, რომლის ჩვენება შეუფერებელია 18 წლამდე არასრულწლოვანთათვის, დღის ნებისმიერ მონაკვეთში, თუ მოქმედებს სავალდებულო PIN-კოდით დაცული ან სხვა

დამბლოკავი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ პროგრამები ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი ზრდასრული აბონენტისთვის.

4. 06:00 საათიდან 20:00 საათამდე, წყალგამყოფის მოქმედების პერიოდში გადაცემული პროგრამები უნდა იყოს შესაფერისი საოჯახო, მათ შორის, საბავშვო ჩვენებისთვის. რაც უფრო ადრეა საღამოს პროგრამა დაგეგმილი, მით უფრო შესაფერისი უნდა იყოს ის არასრულწლოვნებისთვის. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, საზოგადოებრივი ინტერესის ან მნიშვნელოვანი სარედაქციო დასაბუთების არსებობისას შეიძლება ამ წესიდან გადახვევა და ასეთ დროს აუდიტორიას წინასწარ უნდა მიენოდოს ზუსტი ინფორმაცია პროგრამის შინაარსის შესახებ.

5. რადიოპროგრამების განრიგის შედგენისას, მაუნცებელმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს 23 საათმდე არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის თვალსაზრისით. რადიოთი დღის განმავლობაში შეიძლება გადაიცეს ისეთი სიმღერები, რომლებიც შესაფერისია ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის.

6. არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილი მაუნცებლის ვებგვერდი არ უნდა იყოს მიბმული ზრდასრულთათვის განკუთვნილ მასალასთან და უნდა შეესაბამებოდეს არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის მოთხოვნებს. მაუნცებელმა თავიდან უნდა აიცილოს ბმულები მესამე პირთა ვებგვერდებთან, რომლებიც ზრდასრულთათვის განკუთვნილ მასალას შეიცავს. ვებგვერდი არ უნდა შეიცავდეს მასალას, რომელიც შეუფერებელია ეთერში გასვლისთვის. პროგრამასთან დაკავშირებული ინტერაქტიული მომსახურება და ვებმასალა ასევე უნდა შეესაბამებოდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

7. მაუნცებელმა უნდა გამოიყენოს სხვადასხვა საშუალება პროგრამის ხასიათის შესახებ აუდიტორიის ინფორმირების მიზნით. ეს შეიძლება მოხდეს პროგრამის მოკლე ანოტაციის გამოქვეყნებით, საეთერო ან ონლაინ განცხადებებით, ან სპეციალური ნიშნის მინიჭებით. ის არ უნდა იქნას

გამოყენებული არასრულწლოვნების ნახალისებისათვის, უყურონ ან მოუსმინონ პროგრამას.

8. ისეთი პროგრამის დაწყებამდე, რომელმაც შეიძლება აუდიტორიაში გამოიწვიოს ძლიერი ნეგატიური ემოციები, უნდა გაკეთდეს გამაფრთხილებელი განცხადება. იმ პროგრამის ანონსები, რომლის ჩვენება უნდა მოხდეს წყალგამყოფის მოქმედების პერიოდში, უნდა იყოს შესაფერისი საოჯახო ჩვენებისთვის. გამაფრთხილებელი განცხადება უნდა იყოს ფაქტობრივი ხასიათის და შეიცავდეს საკმარის ინფორმაციას, რათა აუდიტორიამ ინფორმირებულად გადაწყვიტოს, არის თუ არა პროგრამა მათთვის შესაფერისი. ის არ უნდა იქნას გამოყენებული არასრულწლოვნების ნახალისებისათვის, უყურონ ან მოუსმინონ პროგრამას.

9. მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობის გარეშე, მაუწყებელმა არ უნდა სთხოვოს არასრულწლოვანს ისეთ საკითხზე მოსაზრების გამოთქმა (ინტერვიუ ან/და სამაუწყებლო პროგრამაში მონაწილეობა), რომელზეც სათანადო პასუხის გაცემა მის შესაძლებლობებს აღემატება. ინფორმირებული თანხმობის მიღების მიზნით, მაუწყებელმა გასაგებად უნდა აუხსნას არასრულწლოვანს და მის მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს პროგრამის ხასიათი. სასურველია ნათესავის, ოჯახის მეგობრის, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის ან მასწავლებლის დასწრება ბავშვთან დელიკატურ ან რთულ საკითხებზე საუბრისას, როგორცაა, მაგალითად, ანტისოციალური (დევიაციური ან დელიკვენტური) ქმედება, ნარკოტიკები და სხვა. მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ბავშვები ხშირად აზვიადებენ საკითხებს ან ამბობენ იმას, რისი გაგონებაც, მათი აზრით, სურთ ზრდასრულებს.

10. მშობლისგან, მეურვისაგან ან მზრუნველისაგან თანხმობაზე უარის მიღების შემთხვევაში, ბავშვის პროგრამაში მონაწილეობა დასაშვებია, თუ არსებობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი და თუ ასეთი გადაწყვეტილება ეფუძნება არასრულწლოვანის თავისუფალ ნებას და ინფორმირებულ თანხმობას. რაც უფრო ახალგაზრდაა

არასრულწლოვანი, მით უფრო მნიშვნელოვანია მშობლისგან მეურვისაგან ან მზრუნველისაგან თანხმობის მიღება. დაუშვებელია არასრულწლოვნის ან მშობლის, მეურვის ან მზრუნველის ფინანსური დაინტერესება თანხმობის მისაღებად. დასაშვებია მხოლოდ დასაბუთებული და კანონიერი ხარჯების დაფარვა.

11. აკრძალულია მაუწყებლის მიერ ისეთი პროგრამის გადაცემა ან პროგრამაში მასალის განთავსება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არსრულწლოვანთა სოციალიზაციის პროცესს.

#### **თავი XIV.**

#### **ზიანისა და შეურაცხყოფისაგან დაცვა**

#### **მუხლი 55. მაუწყებლის მიერ მავნე და შეურაცხმყოფელი მასალისგან დაცვის უზრუნველყოფისათვის ნაყენებული მოთხოვნები (ნესები)**

1. მაუწყებლის მიერ პოტენციურად შეურაცხმყოფელი მასალის გადაცემა გამართლებული უნდა იყოს სარედაქციო კონტექსტით და ემსახურებოდეს საზოგადოებრივ ინტერესს. მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ბალანსი გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებასა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან არასრულწლოვან პირთა დაცვის პასუხისმგებლობას შორის. პოტენციური ზიანის შემცირების მიზნით მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის ან გაფრთხილების გავრცელება.

2. მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელიც ამართლებს ან იწონებს ძალადობრივ, სახიფათო ან ანტისოციალურ ქმედებას და შეიძლება წაახალისოს სხვები მსგავსი ქმედებისკენ.

3. მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს თვითმკვლევლობის ან საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების მეთოდები. აღნიშნული მეთოდების გადაცემა იმ შემთხვევებშიც კი, როცა ეს რედაქციულად დასაბუთებულია ან გამართლებულია კონტექსტით, უნდა მოხდეს მხოლოდ ვერბალური სახით.

4. ეგზორციზმის, ოკულტიზმის, პარანორმალური მოვლენების ან ჰიპნოზის ამსახველი მასალის ჩვენება უნდა მოხდეს ჯეროვანი ობიექტურობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პროგრამა აშკარად გასართობი ხასიათისაა. მაუნყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი რჩევა ჯანმრთელობის, ფინანსური მდგომარეობის, დასაქმების ან ურთიერთობების შესახებ, რომელმაც შეიძლება ადამიანს ზიანი მიაყენოს.

**მუხლი 56. სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუნყებლის მიერ პოტენციური ზიანისა და შეურაცხყოფისაგან დაცვის შესახებ**

6. ძალადობის გაშუქებაზე გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ფაქტორები, რომელთა ერთობლიობამაც შეიძლება აუდიტორიაზე ძალადობის ემოციური ზემოქმედების ხარისხი გაზარდოს:

- დ) შემთხვევები, სადაც დაზარალებულნი მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობების პირები, ქალები ან ბავშვები არიან;
- ე) ვერბალური და არავერბალური აგრესია;
- ვ) ძალადობაზე, განსაკუთრებით, ბავშვების ძალადობაზე სხვების რეაქციის ასახვა.

**თავი XVIII.**

**კონკურსები და პრიზები**

**მუხლი 65. მაუნყებლის მიერ კონკურსების ჩატარების და პრიზების გათამაშებისადმი ნაყენებული მოთხოვნები (წესები)**

1. მაუნყებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ პრიზები ზუსტად იქნას აღწერილი, ხოლო კონკურსის წესები იყოს მკაფიო და საზოგადოებისთვის ჯეროვნად იყოს მათ შესახებ ცნობილი.

2. არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი პრიზები უნდა იყოს მათი ასაკის შესაფერისი.

3. ბრენდების შესახებ მითითება შეიძლება გაკეთდეს მოკლედ და არასარეკლამო მიზნებისთვის.

## საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

### პრეამბულა

სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. ჟურნალისტის ნებისმიერი პროფესიული უფლება-მოვალეობა გამომდინარეობს საზოგადოების უფლებიდან, იყოს ინფორმირებული მოვლენებისა და თვალსაზრისების შესახებ.

ქარტია ეფუძნება ევროპის საბჭოს „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-10 მუხლსა და „ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის“ მიერ აღიარებულ „ჟურნალისტების ქცევის პრინციპების დეკლარაციას“. ეს პრინციპები პროფესიული ქცევის სტანდარტად დამკვიდრდა იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებიც მოიპოვებენ, გადასცემენ და ავრცელებენ ინფორმაციასა და კომენტარებს მიმდინარე მოვლენებზე.

საქართველოს მედიის წარმომადგენლები ვცნობთ და ვაღიარებთ ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვის ვალდებულებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას. საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, პროფესიულ საკითხებს მხოლოდ ჩვენივე კოლეგების უფლებამოსილებად განვიხილავთ და გამოვრიცხავთ ხელისუფლების ან სხვა ძალის ნებისმიერი სახით ჩარევას ამ უფლებამოსილებების განხორციელებაში.

1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

2. დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.

3. ჟურნალისტიკა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტიკა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია.

4. ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტიკა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს.

5. მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

6. ჟურნალისტიკის მორალური პასუხისმგებლობაა, არ გაამჟღავნოს კონფიდენციურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო.

7. ჟურნალისტიკა უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

8. ჟურნალისტიკა ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტიკა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.

9. სარედაქციო მასალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებული მასალებსაგან.

10. ჟურნალისტიკა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.

11. ჟურნალისტიკა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები:

- ფაქტის განზრახ დამახინჯება;
- ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ;
- პლაგიატი.



## ბასაჩივრების სისტემა და პროცედურები

### საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ

#### თავი II.

#### მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის რეგულირება

##### მუხლი 5. კომისია

1. მაუწყებლობის სფეროში საქმიანობას არეგულირებს კომისია.

2. კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას. კომისია არ არის სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (დანესებულება) ან საჯარო სამართლის კორპორაცია. კომისიის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით. (27.06.2008 N 66)

3. მაუწყებლობის სფეროში კომისიის ფუნქციებია:

- თ) საავტორო და მომიჯნავე უფლებების, მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ და რეკლამის შესახებ საკანონმდებლო აქტების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
- ი) ლიცენზიის მფლობელთა შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;

## მუხლი 14. საჩივრები

1. მაუწყებელი ვალდებულია ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას. (29.12.2006 N4319)

2. ლიცენზიის მფლობელის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა, გარდა ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმებისა, აგრეთვე სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მიმართოს კომისიას ან სასამართლოს. (29.12.2006 N4319)

*((10.10.2009 N 1/3/421,422 საკონსტიტუციო სასამ. გადაწყვეტილებით – ცნობილ იქნას არაკონსტიტუციურად მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვები „გარდა ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე ... მუხლებით გათვალისწინებული ნორმებისა“ იმ ნაწილში, რომელიც ეხება 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვებს „...ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას“, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.)*

3. საჩივრის მიღებიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში კომისია იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას საჩივრის განსახილველად მიღების ან საჩივარზე უარის თქმის შესახებ და დაუყოვნებლივ ატყობინებს ამის თაობაზე მომჩივანს.

4. მომხმარებელთა განცხადებებსა და საჩივრებს კომისია განიხილავს ზეპირი მოსმენით, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების წესით, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გამონაკლისებისა და იმ შემთხვევებისა, როდესაც სადავო საკითხების გადაწყვეტა არ მოითხოვს ორგანიზებული პროცედურების განხორციელებას. მომხმარებელთა იმ განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც შეეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს, კომისია განიხილავს მხოლოდ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

5. თუ დადასტურდება დარღვევის ფაქტი, კომისია იღებს გადაწყვეტილებას დეკლარაციის შესახებ. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია 5 დღის ვადაში საკუთარ ეთერში საუკეთესო დროს გადასცეს დეკლარაცია თავის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა ან სალიცენზიო პირობების დარღვევის თაობაზე. (29.12.2006 N4319)

6. დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია განიხილოს ლიცენზიის მფლობელის მიმართ შესაბამისი სანქციის გამოყენების საკითხი.

## **თავი VI. სალიცენზიო პირობები და შინაარსობრივი მოთხოვნები**

### **მუხლი 59<sup>1</sup>. დარღვევაზე რეაგირება (29.12.2006 N4319)**

1. ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევებზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.

2. დაუშვებელია ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების, აგრეთვე ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საკითხების, ასევე ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში, კომისიაში ან რომელიმე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრება.

((10.10.2009 N 1/3/421,422 საკონსტიტუციო სასამ. გადაწყვეტილებით – ცნობილ იქნას არაკონსტიტუციურად 59<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების სიტყვები „ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე ... მუხლებით გათვალისწინებული ნორმების“ იმ ნაწილში, რომელიც ეხება 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვებს „...ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას“, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით).

## თავი IX.

### ანგარიშვალდებულება და სანქციები

#### მუხლი 70. ანგარიშვალდებულება

1. მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ გადაცემული პროგრამების, რეკლამისა და სპონსორების შესახებ ინფორმაციის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან და სალიცენზიო პირობებთან. (29.12.2006 N4319)

2. ლიცენზიის მფლობელის და საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს მხოლოდ კომისია, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა.

3. ლიცენზიის მფლობელი არა უგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა კომისიას წარუდგენს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების, მიმდინარე წლის საქმიანობის გეგმისა და დაფინანსების

წყაროების შესახებ. ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტის დასკვნა.

4. კომისია ადგენს ანგარიშგების ფორმებს.

5. კომისიას უფლება აქვს ლიცენზიის მფლობელისაგან გამოითხოვოს ინფორმაცია მის მიერ საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების შესახებ. კომისია უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა და სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციები. (29.12.2006 N4319)

6. კომისიას უფლება აქვს საზოგადოებრივი მაუწყებლისაგან გამოითხოვოს ინფორმაცია მის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების შესახებ, რომელთა დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანქციები.

7. ლიცენზიის მფლობელმა და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოთხოვნილი ინფორმაცია კომისიას უნდა წარუდგინონ მოთხოვნიდან 15 დღის ვადაში.

### **მუხლი 71. სანქციები**

1. ლიცენზიის მფლობელის ან/და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ან კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის, აგრეთვე ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის მფლობელი ან/და საზოგადოებრივი მაუწყებელი წერილობით გააფრთხილოს. (29.12.2006 N4319)

2. კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის მფლობელს ან/და საზოგადოებრივ მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა მის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობისათვის, ან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის გაფრთხი-

ლების გამოყენებიდან 1 წლის განმავლობაში მის მიერ ახალი დარღვევის ჩადენის შემთხვევაში. (28.12.2005 N 2565)

3. მხოლოდ კომისიას აქვს ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ან ლიცენზიის გაუქმების უფლება. ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ან ლიცენზიის გაუქმების შესახებ კომისია იღებს გადაწყვეტილებას.

## **მუხლი 72. ჯარიმის ოდენობა და გადახდის წესი**

1. ამ კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის მფლობელს ან/და საზოგადოებრივ მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა მისი წლიური შემოსავლის 0,5%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2500 ლარისა.

2. ლიცენზიის მფლობელის ან/და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი დარღვევის ჩადენის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მას დააკისროს ჯარიმა მისი წლიური შემოსავლის 3%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 5000 ლარისა, ან დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ლიცენზიის მოქმედების შეჩერების მიზნით.

3. დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება მოტივებისა და საფუძვლების მითითებით, გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში წერილობით ეცნობება ლიცენზიის მფლობელს ან/და საზოგადოებრივ მაუწყებელს.

4. ჯარიმა გადახდილი უნდა იქნეს დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების ლიცენზიის მფლობელისათვის ან/და საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში.

5. ლიცენზიის მფლობელის ან/და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული

ბიურო. ჯარიმის თანხა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. (15.07.2008 N 215 ამოქმედდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან)

### **მუხლი 73. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება**

1. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ნიშნავს ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის აკრძალვას ლიცენზიის მოქმედების განახლებამდე.

2. კომისია განიხილავს ლიცენზიის მოქმედების შეჩერების საკითხს, თუ ლიცენზიის მფლობელი არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს ან სალიცენზიო პირობებს და მის მიმართ ამ დარღვევისათვის სანქციის სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა. (29.12.2006 N4319)

3. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის აღმოფხვრამდე, მაგრამ ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადანყვეტილების მიღების დღიდან არა უმეტეს 3 თვისა.

4. ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადანყვეტილება მოტივებისა და საფუძვლების მითითებით, გადანყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში წერილობით ეცნობება ლიცენზიის მფლობელს.

5. იმ დარღვევის აღმოფხვრის შემდეგ, რომლისთვისაც მოხდა ლიცენზიის მოქმედების შეჩერება, ლიცენზიის მოქმედება განახლდება კომისიის გადანყვეტილებით, ლიცენზიის მფლობელის განცხადების საფუძველზე.

### **მუხლი 74. ლიცენზიის გაუქმება**

1. ლიცენზიის გაუქმების საფუძველია:

ა) ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა;

ბ) ლიცენზიის მფლობელის გარდაცვალება (ლიკვიდაცია);

გ) ლიცენზიის მფლობელის მიერ ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის შეწყვეტა წელიწადში ზედიზედ

3 თვეზე მეტი ვადით ან ერთი წლის 120 დღის განმავლობაში;

დ) ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ვადის გასვლა, თუ ლიცენზიის მფლობელი ამ ვადაში არ აღმოფხვრის კომისიის მიერ მითითებულ დარღვევას;

ე) ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის დაუნწყებლობა კომისიის გადანყვეტილებით დადგენილ ვადაში.

2. მხოლოდ კომისიას აქვს ლიცენზიის გაუქმების უფლება.

3. ლიცენზიის მოქმედების ვადის ამონურვის შემთხვევაში ლიცენზია გაუქმებულად ითვლება.

4. ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადანყვეტილება ლიცენზიის მფლობელს წერილობით ეცნობება 7 სამუშაო დღის ვადაში.

## **თავი XI.**

### **გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი**

#### **მუხლი 76. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი**

27. ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება მაუნყებლებმა უზრუნველყონ 2007 წლის 1 ივლისამდე. (29.12.2006 N4319)



## **საქართველოს კანონი**

### **მაცნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ**

#### **თავი VI.**

#### **პასუხისმგებლობა ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის**

#### **მუხლი 17. პასუხისმგებლობა ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის**

4. მაუწყებელთა მიმართ ამ კანონით დადგენილი რეგულირების დარღვევებზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში. (29.12.2006 N4320)

## **მედიური გავრცელების კოდექსი**

### **მუხლი 3. კოდექსის პრინციპები**

1. კოდექსი ეყრდნობა შემდეგ სამაუწყებლო პრინციპებს.  
დ) თვითრეგულირების ფარგლებში საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურების განსაზღვრა.

### **თავი II.**

### **თვითრეგულირება და ანგარიშვალდებულება**

#### **მუხლი 6. შესწორება და უარყოფა**

1. დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან, 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით დადგენილი წესით.

2. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს პროგრამის დასახელებას, ეთერში გაშვების თარიღს და დროს, კოდექსის იმ მუხლებს, რომლებიც დაირღვა მაუწყებლის მიერ, დარღვევის სახეს და შინაარსს.

#### **მუხლი 7. თვითრეგულირების და ანგარიშვალდებულების სისტემა**

1. მაუწყებელს უფლება აქვს, აირჩიოს თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და ამ კოდექსის შესაბამისად, რომელიც შეესაბამება მაღალ პროფესიულ სტანდარტებს და ითვალისწინებს საჩივრის ეფექტიანად

განხილვის გამჭვირვალე პროცედურას და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

2. მაუწყებელთა ქცევის კოდექსით მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებით გასაჩივრების წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

### **მუხლი 8. ანგარიშვალდებულება**

მაუწყებელი ჩვეულებრივ წელიწადში ერთხელ ატარებს თვითრეგულირების სისტემის აუდიტს და კომისიას ყოველწლიურად „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშთან ერთად წარუდგენს დეტალურ ანგარიშს:

- ა) ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით შესული საჩივრების (სააპელაციო საჩივრების), განცხადებებისა და მათ თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;
- ბ) საჩივრისა და სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადების შესახებ;
- გ) მაუწყებლის თანამშრომელთა მიერ ამ კოდექსის დარღვევის რაოდენობისა, დარღვეული მუხლების, განმეორებითი დარღვევებისა და დარღვევების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით გამოყენებული ზომების შესახებ;
- დ) მაუწყებლის მიერ საკუთარი თანამშრომლების პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

### **მუხლი 9. საჩივრის განხილვა**

1. მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურის საფუძველზე და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოს საჩივრის განხილვის გამჭვირვალე პროცესი.

2. საჩივრები განიხილება დროულად, გონივრულ ვადაში. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 21

დღეზე მეტი ვადა, მაუნყებელი ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადანყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.

### **მუხლი 10. მაუნყებლის მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება**

1. საჩივრის თაობაზე მაუნყებლის მიერ მიღებული გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 7 დღის ვადაში თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში, რომელსაც ქმნის მაუნყებელი ან მათი გაერთიანება.

2. სააპელაციო ორგანოს უფლება აქვს უარი თქვას აპელაციის არსებით განხილვაზე და ძალაში დატოვოს მაუნყებლის გადანყვეტილება საჩივარზე, თუ დავა აშკარად უსაფუძვლოა, ხოლო მაუნყებლის გადანყვეტილება დასაბუთებული

3. სააპელაციო ორგანოს წევრები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები ან პოლიტიკური პარტიის წევრები, არ უნდა ჰქონდეთ მონაწილეობა მიღებული გასაჩივრებული გადანყვეტილების მიღებაში.

4. სააპელაციო ორგანო დაკომპლექტებული უნდა იყოს დამოუკიდებელი მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით.

5. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ სააპელაციო ორგანოს წევრის აცილება ინტერესთა კონფლიქტის არსებობის საფუძველზე. გადანყვეტილება სააპელაციო ორგანოს წევრის აცილების შესახებ მიიღება სააპელაციო ორგანოს მიერ ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

6. სააპელაციო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს გადანყვეტილების მიღება 30 დღის ვადაში. თუ გადანყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 30 დღეზე მეტი ვადა, სააპელაციო ორგანო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადანყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.

### **მუხლი 11. გამჭვირვალე და სამართლიანი განხილვა**

1. საჩივრის განხილვისას მაუწყებელმა (სააპელაციო ორგანომ) უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის დასწრება.

2. საჩივართან და სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული.

3. მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

## **თავი XIX.**

### **გარდამავალი დებულებები**

### **მუხლი 67. თვითრეგულირების სისტემის ჩამოყალიბება**

1. ამ კოდექსის მე-2 თავით განსაზღვრული თვითრეგულირების სისტემის შექმნა და საჩივრის განხილვის მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურების დადგენა და ამოქმედება საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და კერძო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელებმა, რომლებიც ახორციელებენ საერთო მაუწყებლობას და მაუწყებლობენ „ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის N10 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა სამაუწყებლო ზონაში, უზრუნველყონ ამ კოდექსის მიღებიდან 6 თვის განმავლობაში, ხოლო ყველა სხვა სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელმა ამ კოდექსის მიღებიდან 1 წლის განმავლობაში.

2. სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებმა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარუდგინონ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თვითრეგულირების სისტემისა და საჩივრების განხილვის დადგენილი პროცედურის შესახებ ინფორმაცია, ამავე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადებში.

## საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

### საქმისწარმოების წესი

#### 1. ზოგადი დებულებები

##### მუხლი 1

ეს წესი არეგულირებს განცხადების საფუძველზე ქარტიის წევრის მიმართ წარმოების დაწყების, განცხადების განხილვის, გადაწყვეტილების მიღების, გამოქვეყნების და ქარტიასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

##### მუხლი 2

წარმოებისას საბჭო ხელმძღვანელობს მხოლოდ ქარტიით და საბჭოს მიერ მანამდე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დამკვიდრებული პრაქტიკით. მისთვის გადანყვეტილების მიღების პროცესში სავალდებულო არ არის საქართველოს კანონმდებლობა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.

##### მუხლი 3

საქმისწარმოების ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

განცხადება — ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომლის ადრესატიც არის საბჭო და რომლითაც მოთხოვნილია ქარტიის წევრის მიერ ქარტიის დარღვევის ფაქტის დადგენა.

განმცხადებელი — ამ წესით გათვალისწინებული სუბიექტი, რომელიც მიიჩნევს, რომ ქარტიის წევრმა დაარღვია ქარტიის დებულება და ამის შესახებ დადგენილი ფორმით მიმართავს საბჭოს. არ არის აუცილებელი, დარღვევა შეეხებოდეს ან/და უშუალო და პირდაპირ ზიანს აყენებდეს განმცხადებელს.

ფიზიკური პირი — საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, სხვა ქვეყნის მოქალაქე.

იურიდიული პირი — სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი.

ადმინისტრაციული ორგანო — საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანო.

საბჭოს გადანყვევტილება — საბჭოს მიერ ამ წესით დადგენილი წარმოების შედეგად მიღებული შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს წევრის მიერ ქარტიის დარღვევის ან დარღვევის არარსებობის შესახებ ფაქტს.

საბჭო — ქარტიის წესდებით გათვალისწინებული ორგანო.

საბჭოს წევრი — ქარტიის წესდებით გათვალისწინებული ფიზიკური პირი, რომელიც დადგენილი წესით აირჩევა ქარტიის საერთო კრების მიერ.

ქარტიის წევრი — ქარტიის წესდებით გათვალისწინებული ქარტიის წევრი.

საბჭოს სამდივნო — საბჭოსთან არსებული ორგანო, რომელიც ახორციელებს განცხადებებისა და საბჭოს სახელზე შემოსული სხვა დოკუმენტაციის, ასევე გასული კორესპონდენციების რეგისტრაციას, ტექნიკურ დახმარებას უწევს საბჭოს საქმიანობაში, ამზადებს საქმეს განსახილველად და ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის სხვა მითითებებს.

## 2. საქმისწარმოების დანყება

### მუხლი 4

1. საბჭოში წარმოების დანყების საფუძველია განცხადების წარდგენა.

2. განცხადების ფორმას ადგენს საბჭო.

3. განცხადების წარდგენა შეუძლია:

- ა) ნებისმიერ ქმედუნარიან ფიზიკურ პირს;
- ბ) ნებისმიერ იურიდიულ პირს;
- გ) ადმინისტრაციულ ორგანოს.

### მუხლი 5

1. განცხადებას რეგისტრაციაში ატარებს ქარტიის საბჭოს სამდივნო, რომელიც ამონმებს განცხადების ფორმალურ მხარეს და მის შესაბამისობას საბჭოს მიერ დადგენილ ფორმასთან;

2. თუ განცხადება არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, საბჭოს სამდივნო ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს განმცხადებელს და ეხმარება ამ ხარვეზის აღმოფხვრაში.

3. განცხადება რეგისტრაციის შემდეგ რიგითობის დაცვით ეგზავნება საბჭოს სამ წევრს, რომლებიც პროპორციულად უნდა წარმოადგენდნენ წესდების 8.2 მუხლით გათვალისწინებულ პირებს.

### მუხლი 6

1. დასაშვებობის საკითხს წყვეტენ ამ წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბჭოს წევრები.

2. საბჭოს წევრი, რომელიც მიიღებს განცხადებას დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად, ვალდებულია, 5 დღის ვადაში გამოხატოს პოზიცია დასაშვებობის საკითხზე.

3. დასაშვებობის გადაწყვეტისას შესაძლებელია საბჭოს წევრმა:

- ა) განაცხადოს თანხმობა განცხადების მიღებაზე;



ბ) განაცხადოს უარი განცხადების მიღებაზე.

4. ნევრი განცხადების დასაშვებობის განხილვისას ამონმებს შემდეგ საკითხებს:

ა) არის თუ არა განცხადება საბჭოს განსახილველი (თარიღი; ნევრობა და ა.შ.);

ბ) შედის თუ არა დასმული საკითხის გადაწყვეტა საბჭოს კომპეტენციაში;

გ) მითითებულია თუ არა განცხადებაში ქარტიის კონკრეტული დებულება, რომლის დარღვევაზეც დავობს განმცხადებელი;

5. განმცხადებელმა საბჭოს უნდა მიმართოს შესაბამისი მასალის გავრცელებიდან 3 თვის განმავლობაში. ამ ვადის დარღვევით შეტანილი განცხადება არ განიხილება და ამ საფუძვლით განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას დასაშვებობის ეტაპზეც.

6. საბჭოს უარი განცხადების დასაშვებობის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული.

7. თუ საბჭოს ნევრი დადგენილ ვადაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას, მიიჩნევა, რომ მან თანხობა განაცხადა დასაშვებობის გადაწყვეტისას.

8. დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას განცხადება მიღებულად ჩაითვლება, თუ ორმა ნევრმა თანხმობა განაცხადა მის დასაშვებობაზე.

### 3. განცხადების განხილვის მომზადება

#### მუხლი 7

განცხადების განხილვას ამზადებს საბჭოს სამდივნო, რომლის თანამშრომლები არ არიან საბჭოს ნევრები.

საბჭოს სამდივნოს თანამშრომლებთან ქარტიის დირექტორი აფორმებს შრომით ხელშეკრულებას და ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას.

## მუხლი 8

1. განცხადების დასაშვებობის განხილვისას დადებითი გადანყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში სამდივნო განცხადებისა და თანდართული მასალების ელექტრონულ ვარიანტს უგზავნის საბჭოს ყველა წევრს.

2. სამდივნო ვალდებულია, დასაშვებობის გადანყვეტილისთანავე შეატყობინოს განმცხადებელს მიღებული გადანყვეტილების შესახებ, ხოლო თუ განცხადება დასაშვებად იქნა მიჩნეული, ამის შესახებ ეცნობება ქარტიის ხელმძღვანელ წევრსაც, რომლის წინააღმდეგაც შეტანილია განცხადება და მიეცემა საშუალება, გაეცნოს საქმის მასალებს, ასევე, წარმოადგინოს არგუმენტები და შესაბამისი მასალები. თუ საბჭო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ დაყენებული საკითხის გადანყვეტა შესაძლებელია მედიაციის გზით, უგზავნის წინადადებას ქარტიის წევრს იმ ღონისძიების შესახებ, რომლის განხორციელებამაც შეიძლება საბჭოს თავიდან აარიდოს საქმის განხილვა და საქმე დასრულდეს მორიგებით. საბჭოს შეუძლია აღნიშნული წინადადებით მიმართოს მხარეებს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

## მუხლი 9

საბჭოს წევრები მასალების მიღებიდან 5 დღის ვადაში უფლებამოსილნი არიან სამდივნოს მოსთხოვონ საქმის განსახილველად აუცილებელი მასალების მოძიება.

სამდივნო ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 3 დღეში უზრუნველყოფს ინფორმაციის გამოთხოვას.

შესაბამისი ინფორმაციის მოძიების დასრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს განცხადების მიღებიდან 1 თვისა, სამდივნო აცნობებს საბჭოს წევრებს აღნიშნულის შესახებ და პირველივე სხდომაზე უზრუნველყოფს მომზადებული საქმის განხილვის შესაძლებლობას.

#### 4. განცხადების განხილვა

##### მუხლი 10

1. განცხადებას საბჭო იხილავს კოლეგიურად.
2. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა არანაკლებ  $2/3$ .
3. გადანყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ 5 ხმისა.
4. საბჭოს წევრს უფლება არ აქვს, გადანყვეტილების მიღებისას თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

##### მუხლი 11

1. საბჭოს სხდომას ხსნის და ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე.
2. საბჭოს თავმჯდომარე აცნობს წევრებს და მხარეებს განსახილველ საკითხს, აღწერს განცხადების შინაარსს, მოთხოვნას, წევრისაგან შემოსულ ახსნა-განმარტებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა გარემოებებს, რაც ცნობილია საბჭოსათვის. ასევე წარმოადგენს საბჭოს მიერ მოძიებულ ინფორმაციას.
3. განმცხადებელი საკუთარ პოზიციას წარადგენს წერილობით.
4. წევრი საკუთარ პოზიციას წარმოადგენს ასევე წერილობით.
5. საბჭოს წევრებს და თავმჯდომარეს უფლება აქვთ, შეკითხვები დაუსვან მხარეებს.
6. საბჭო სხდომის დასრულების შემდეგ გადის გადანყვეტილების მისაღებად.

#### 5. საბჭოს მიერ გადანყვეტილების მიღების წესი

##### მუხლი 12

1. საბჭო გადანყვეტილებას იღებს დამოუკიდებლად. საბჭოს წევრების თათბირი კონფიდენციალურია. ყველა წევრს შეუძლია გამოთქვას საკუთარი მოსაზრება

გადასაწყვეტ საკითხთან დაკავშირებით.

2. საბჭო გადანყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით.

3. საბჭოს გადანყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს 5 წევრი მაინც.

### **მუხლი 13**

1. გადანყვეტილება მიიღება წერილობითი სახით.

2. საბჭოს გადანყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

3. საბჭოს ყველა წევრი, რომელიც ესწრებოდა საქმის განხილვას, ვალდებულია, ხელი მოაწეროს გადანყვეტილებას.

4. საბჭოს წევრი, რომელიც არ ეთანხმება გადანყვეტილებას, უფლებამოსილია, დაწეროს განსხვავებული აზრი, რომელიც დაერთვება გადანყვეტილებას.

5. გადანყვეტილება შედგება 4 ნაწილისაგან: შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო.

### **მუხლი 14. გადანყვეტილების საჯაროობა**

1. საბჭოს გადანყვეტილებები საჯაროა და თავსდება მის ვებ პორტალზე;

2. საბჭოს სხდომა საჯაროა, თუ განსახილველი საკითხის ხასიათიდან გამომდინარე, საბჭო თავად არ დახურავს მას.

### **მუხლი 15**

საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც ამ წესით არ არის რეგლამენტირებული, წყდება საბჭოს მიერ.